საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/1749
03/07/2023

1749-01-2-202307031807

მოქალაქე ქეთევან მორჩილაძეს (პ/ნ _____)

მის.: _____

ელ-ფოსტა: _____

ქალბატონო ქეთევან,

2023 წლის 28 ივნისის №01/2152 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომში – განცხადება).

ამასთან, პროცედურის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტო განცხადების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მეორე მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება უნდა შეიცავდეს განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის სახელს, გვარს, ხელმოწერასა და განცხადების წარდგენის თარიღს. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადება არ შეიცავს თქვენს ხელმოწერას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წარმოადგინოთ ხელმოწერილი განცხადება. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

დამატებით გაცნობებთ, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, მომხმარებელს არ აქვს უფლება, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი

დ.აღმაშენებლის გამზ. 154, 0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2440 770 (2174/2467)
info@gnca.gov.ge
www.gnca.gov.ge

თქვას ხელშეკრულებაზე, თუ ხელშეკრულება დაიდო დასვენებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე და მასში მითითებულია ხელშეკრულების შესრულების განსაზღვრული თარიღი ან პერიოდი.

პატივისცემით,

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარე - მ.შ.